



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ღ ე ბ ა

2019 წლის 11 მარტი

ქ. თბილისი

დისციპლინური საქმე №116/17

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხიმსგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად, (2018 წლის 1 მაისამდე არსებული რედაქცია) მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების საფუძველი გახდა -- -- (-- -- წარმომადგენელი) 2017 წლის 30 ივნისის №-- საჩივარი.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 15 მარტის №--/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 2 აპრილის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2018 წლის 2 აპრილს მიიღო გადაწყვეტილება მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური დევნის დაწყებისა და ახსნა-განმარტების ჩამორთმევის თაობაზე.

1. საჩივრებში მითითებული ფაქტები:

2018 წლის 30 ივნისს -- -- წარადგინა საჩივარი, სადაც აღნიშნა, რომ 2016 წლის 24 ივნისიდან -- რაიონული სასამართლოს წარმოებაშია სამოქალაქო საქმე -- -- სარჩელის გამო, მოპასუხის -

-- -- მიმართ, თანხის - -- აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე. ამ ეტაპისათვის, როგორც საჩივრის ავტორი აღნიშნავს, მოსამართლეს ერთი სხდომაც არ ჩაუტარებია, რის გამოც ჭიანურდება საქმის განხილვის ვადა. მან სასამართლოში წარადგინა არაერთი განცხადება სხდომის დანიშვნის თაობაზე, თუმცა უშედეგოდ.

2. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2016 წლის 24 ივნისს, -- -- სარჩელით მიმართა -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ, -- აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნით. მოსარჩელემ ასევე იშუამდგომლა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. 2016 წლის 27 ივნისის განჩინებით, -- -- შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა.

მოსამართლე -- -- ისარგებლა კუთვნილი შვებულებით 2016 წლის 1 ივლისიდან 30 ივლისის ჩათვლით, საქმეს ამ პერიოდში იხილავდა მოსამართლე -- --.

2016 წლის 2 აგვისტოდან, სამოქალაქო საქმე --, განსახილველად დაუბრუნდა საქმის განმხილველ მოსამართლეს, -- --.

-- -- სარჩელი მოპასუხემ ჩაიბარა 2016 წლის 22 სექტემბერს, მოპასუხემ შესაგებელი წარადგინა 2016 წლის 28 სექტემბერს.

-- -- საჩივარი დაუსაბუთებლობის მოტივით 2016 წლის 29 სექტემბერს გადაიგზავნა -- სააპელაციო სასამართლოს, ხოლო მოსამართლე -- -- დაუბრუნდა 2016 წლის 28 ოქტომბერს.

2017 წლის 23 იანვარს -- -- მიერ წარმოდგენილია მტკიცებულებები, საქმეზე დასართავად.

2017 წლის 13 მარტს -- -- დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა, კერძოდ ძირითად მოთხოვნასთან ერთად მოითხოვა მოპასუხისათვის, მის მიერ გაწეული ადვოკატის ხარჯის -- ლარისა და სასამართლო და სასამართლოსგარეშე ხარჯების დაკისრება. დაზუსტებულ სარჩელზე მოპასუხემ შესაგებელი წარმოადგინა 2017 წლის 3 აპრილს.

სხდომის დანიშვნის მოთხოვნით -- -- წარმომადგენელმა განცხადება წარადგინა სასამართლოში 2017 წლის 5 ივნისს, ხოლო დამატებითი მტკიცებულებები საქმეზე წარადგინა 2017 წლის 29 ნოემბერს.

საქმის განხილვა დასრულდა 2018 წლის 23 ივლისს, სარჩელი დაკმაყოფილდა.

3. მოსამართლე -- -- ახსნა-განმარტება:

მოსამართლე -- --, 2018 წლის 1 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოში წარადგინა ახსნა-განმარტება, სადაც საქმის განხილვის გაჭიანურების ძირითად მიზეზად საქმეთა სიმრავლე დასახელდა. მოსამართლე განმარტავს, რომ 2016 წლის თებერვლიდან 2018 წლის თებერვლამდე, -- რაიონულ სასამართლოში, მათ შორის, -- და -- მაგისტრატ სასამართლოებში, სამოქალაქო საქმეთა განხილველი მოსამართლის არარსებობის გამო, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებს მხოლოდ ის იხილავდა, ასევე სამივე რაიონის სასამართლოს წარმოებაში არსებულ ყველა სისხლის სამართლის საქმეზე ატარებდა წინასასამართლო სხდომებს, რასაც დაემატა სამოქალაქო საქმეთა რაოდენობის განუხრელი ზრდა, ამდენად ფაქტობრივად შეუძლებელი გახდა საქმეთა ნაკადის სათანადოდ მართვა. მოსამართლემ ასევე წარმოადგინა საქმეთა სტატისტიკური მონაცემები, იგი გამოხატავს გულისტკივილს საქმის ვადის დარღვევით განხილვის გამო, თუმცა განმარტავს, რომ აღნიშნული არ ყოფილა მისდამი გულგრილი ან უპასუხისმებლო დამოკიდებულების შედეგი, იგი გამოწვეულია -- რაიონულ სასამართლოში შექმნილი ობიექტური გარემოებებით.

4. დისციპლინური დევნის/სამართალწარმოების შეწყვეტის სამართლებრივი დასაბუთება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა სახეზე იყოს მოსამართლის მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევის, „საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურების“ ფაქტს.

იმისათვის, რომ სრულყოფილად შეფასდეს საჩივრების საფუძველზე გამოკვლეული ფაქტობრივი გარემოებები შეიცავენ თუ არა მოსამართლის მიერ შესაბამისი პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს, აუცილებელია განისაზღვროს, თავისი არსით რას წარმოადგენს - საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება, როდიდან უნდა ჩაითვალოს საქმე გაჭიანურებულად და რას გულისხმობს ტერმინი „უსაფუძვლო“.

აღნიშნულ გადაცდომასთან დაკავშირებით, დამატებით განმარტებებს არ გვაძლევს შიდა კანონმდებლობა, ამასთან, არც სადისციპლინო კოლეგიისა და სადისციპლინო პალატის არსებული გადაწყვეტილებები იძლევა აღნიშნული საკითხის განზოგადების შესაძლებლობას.

ამდენად, მოსამართლის მიერ საქმის განხილვის შესაძლო უსაფუძვლო გაჭიანურებაზე მსჯელობისას აუცილებელია ყურადღება მიექცეს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლს (რომელიც მოიცავს სამართლიანი სასამართლოს მიერ საქმის გონივრულ ვადაში განხილვის უფლებას) და იმ კრიტერიუმებს, რასაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იყენებს მე-6 მუხლის დარღვევის დადგენის დროს (საქმის განხილვის გონივრული ვადის დარღვევის გამო).

ამასთან, საქმის განხილვის დაწყების შემდეგ იყო თუ არა საქმის განხილვის ვადები არაგონივრული სასურველია შეფასდეს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სასამართლო პრაქტიკით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, კერძოდ, ეს კრიტერიუმებია: 1) საქმის სირთულე, რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს, როგორც საქმის ფაქტობრივ, ისე სამართლებრივ სირთულესთან (*Katte Klitsche de la Grande v. Italy*, 55; *Papachelas v. Greece*, 39); რომელიც შეიძლება დაკავშირებული იყოს რამდენიმე მხარის საქმეში ჩაბმასთან (*H. V. United Kingdom*, 72); მტკიცებულებების გამოკვლევასთან (*Human v. Poland*, 63) და ა.შ. ამასთან, იმ შემთხვევაშიც როდესაც საქმე თავისი არსით სირთულით არ ხასიათდება, თუმცა ეროვნული კანონმდებლობა არ არის ნათელი ამ გარემოებამაც შეიძლება საქმის განხილვის უსაფუძვლო გაჭიანურება გამოიწვიოს (*Lupeni Greek Catholic Parish and others v. Romania*, 150); 2) მხარეთა მოქმედებები, რაც გულისხმობს მაგალითად, ადვოკატთა ხშირ ცვლილებას (*Koenig v. Germany*, 103), შუამდგომლობებს, რომელიც გამიზნულია პროცესის გასაჭიანურებლად, ან უბრალოდ დაკავშირებულია გარკვეულ ვადებთან (*Acquaiva v. France*, 61), ასევე სხვა მოქმედებები, რომელიც უკავშირდება საქმის განხილვის ვადის გაგრძელებას; 3) საქმის განმხილველი მოსამართლის მოქმედებები, ყურადღება უნდა მიექცეს ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოსამართლის მიერ საპროცესო მოქმედების შეუსრულებლობას/ჩაუტარებლობას (*Pafitis and others v. Greece*; 93; *Tiece v. San Marino*; 31; *Suermerli v. Germany*, 129.).

თუმცა, აქვე ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით საქმის განხილვის ვადა იყო გონივრული თუ არა უნდა შეფასდეს ყოველ საქმეზე ინდივიდუალურად, საქმის კონკრეტული გარემოებების

გათვალისწინებით (Frydlender v. France, 43) და ერთიანობაში ყველა საპროცესო მოქმედების მხედველობაში მიღების შედეგად (Koenig v. Germany; 98).

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისას ასევე ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ საქმის განხილვის შესაბამის ვადებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასამართლო სამოქალაქო საქმეს განიხილავს განცხადების მიღებიდან არაუგვიანეს 2 თვისა. განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეზე, მისი განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 5 თვისა, გარდა ალიმენტის გადახდევინების, დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით ან მარჩენალის სიკვდილით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების, შრომითი ურთიერთობებიდან, „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე მოთხოვნებისა და უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის შესახებ საქმეებისა, რომლებიც განხილული უნდა იქნეს არაუგვიანეს 1 თვისა. ამასთან, ამავე მუხლის 3¹ პუნქტის თანახმად, ამავე კოდექსის 184-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სამოქალაქო საქმეები განიხილება მოპასუხისათვის გზავნილის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის სასამართლოში წარდგენიდან ან მოპასუხისათვის გზავნილის საჯარო შეტყობინებით ჩაბარებიდან არა უგვიანეს 45 დღისა, ხოლო განსაკუთრებით რთული კატეგორიის საქმეებზე განმხილველი სასამართლოს გადაწყვეტილებით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არა უმეტეს 60 დღისა.

როგორც ცნობილია, ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-6 მუხლის ადგენს, რომ „ყველას აქვს ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საჯარო განხილვის უფლება“. ვადების განსაზღვრა ფუნდამენტური ნაბიჯია იმისთვის, რომ გაიზომოს და შეფასდეს საქმისწარმოების ეფექტიანობა და კონცეპტუალურად განისაზღვროს დაგროვილი საქმეების რაოდენობის შემცირების გზები. მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს 1) სამუშაო დატვირთვას, რაშიც იგულისხმება მთლიანი სამუშაო, რასაც სასამართლო ან მოსამართლეები ახორციელებენ. ეს არის სასამართლოსა და მოსამართლეების მიერ განხორციელებული ყველა საქმიანობის ერთობლიობა; 2) განსახილველად დაგროვებული საქმეების რაოდენობა - არის საქმეების რაოდენობა, რომლებიც სასამართლომ, ან მოსამართლემ უნდა განიხილოს; 3) განსახილველი საქმეები - საქმეების რაოდენობა, რომლებიც მოსამართლემ უნდა განიხილოს გარკვეული პერიოდის განმავლობაში; 4) ვადები - დროის გარკვეული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული საქმეების გარკვეულ

რაოდენობასთან, ან პროცენტთან დაკავშირებით, საქმეების ხანდაზმულობის გათვალისწინებით; 5) განუხილველი საქმეები - ეს არის დაგროვილი საქმეების რაოდენობა ან პროცენტი, რომლბიც დადგენილ ვადაში არ იქნა განხილული.

„დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება არის უაღრესად საფრთხილო და მნიშვნელოვანი საკითხი. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება შეიცავს სასამართლოს დამოუკიდებლობაზე ზემოქმედების პოტენციურ საფრთხეს... მოსამართლეს დისციპლინური სახდელი ეკისრება, თუ დადასტურდება მის მიერ იმ ქმედების ბრალეულად ჩადენა, რომელიც წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას. შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი არის მხოლოდ და მხოლოდ მოსამართლის მიერ დისციპლინური გადაცდომის ბრალეულად ჩადენა. აღნიშნულიდან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმის ზუსტად განსაზღვრას, რომ ჩადენილი ქმედება წარმოადგენს დისციპლინურ გადაცდომას.“ (სადისციპლინო კოლეგიის 2013 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება №1/04-12 დისციპლინურ საქმეზე).

განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე -- -- სარჩელი ჩაბარდა 2016 წლის 22 სექტემბერს (შესაგებელი წარმოდგენილია 28.09.2016 წელს). შესაბამისად, კანონით განსაზღვრული ვადის ათვლა დაიწყო კონკრეტული თარიღიდან. საქმის განხილვა მოსამართლემ დაასრულა 2018 წლის 23 ივლისს - 1 წლისა და 7 თვის შემდგომ. ამასთან ახსანიშნავია, რომ სამოქალაქო საქმე, უზრუნველყოფის შესახებ საჩივრის განხილვის მიზნით გადაგზავნილი იყო ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში - 2016 წლის 29 სექტემბრიდან - 2016 წლის 28 ოქტომბრამდე. ამ პერიოდში ბუნებრივია, მოსამართლის მიერ რაიმე საპროცესო მოქმედება ვერ განხორციელდებოდა. საერთო ჯამში საქმე მოსამართლის მიერ იხილებოდა 1 წელი და 6 თვე.

უმნიშვნელოვანესია შეფასდეს მოსამართლის დატვირთულობა და მასზე განსახილველად გადაცემულ და მის მიერ დასრულებულ საქმეთა რაოდენობა, ასევე მის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები.

-- რაიონული სასამართლოს 2016 წლის და 2017 წლის სტატისტიკური მონაცემები გამოიყურება შემდეგნაირად: მოსამართლე -- -- 2016 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 631 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დასრულდა - 427 საქმე (67%), ხოლო 2017 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 1186 სამოქალაქო საქმე, ხოლო დაასრულა - 693 საქმე (58%). 2018 წლის მდგომარეობით განსახილველად ეწერა 54 სისხლის სამართლის საქმე საიდანაც დაასრულა 51 საქმე; სისიხლის სამართლის სხვა საქმე 4 საქმე საიდანაც დაასრულა 3 საქმე, აღკვეთის ღონისძიების შეფარდების 11 საქმე - დაასრულა 11 საქმე; საგამოძიებო

მოქმედებები 88 საქმე - დაასრულა 88; ასევე განსახილველად ეწერა 951 სამოქალაქო საქმე საიდანაც დაასრულა - 542 საქმე; სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ დაეწერა 4 განცხადება, საიდანაც განიხილა 4 განცხადება; განსახილველად ეწერა 137 ადმინისტრაციული საქმე საიდანაც დაასრულა - 41 საქმე, ეწერა 305 სამართალდარღვევების საქმე საიდანაც დაასრულა 212 საქმე.

სწორედ არსებული სტატისტიკის, მოსამართლის დატვირთულებისა და მოსამართლის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნული საქმეთა განხილვის ვადები ვერ ჩაითვლება არაგონივრულ ვადად, განსახილველ შემთხვევაში არ დგინდება მოსამართლის მხრიდან საქმის განხილვის განზრახ ბრალეულად გაჭიანურების ფაქტი. არსებულ მოცემულობაში, საპროცესო ვადის დარღვევა განაპირობა მოსამართლის წარმოებაში არსებულმა საქმეთა სიმრავლემ და იმ ობიექტურმა ხელშემშლელმა გარემოებებმა, რაზედაც მოსამართლე ახსნა-განმარტებაში მიუთითებს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, 2019 წლის 11 მარტის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა) მიიღო გადაწყვეტილება, მოსამართლე -- -- მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე. საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75¹³ მუხლის პირველი პუნქტით და

გადაწყვიტა:

დისციპლინურ საქმეზე №116/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენის ფაქტზე.

გიორგი მიქაუტაძე

**საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი**